ქუთაისის
მარჯანიშვილის
სახელობის
შვიდმეის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო აკადემიური
თეატრის
რეპერტუარი

იაკობ ცქარიპოლელი

ЯКОВ ТРИПОЛЬСКИЙ
(На грузинском языке)
1979

რედაქტორი ვასილ კიკნაძე

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
რეკლამების გამომშვები დირექციის გამოცემა
თბილისი, რუსთაველის პრ. № 18, ტელ. 93-56-34.

ფასი 25 კაპ.

შეკვ. № 575 უე 08143 ტ. 1500

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.





დონ ფერნანდო — **ი. ტრიპოლსკი**
„ცოცხალი პორტრეტი“

ბესიკი — **ი. ტრიპოლსკი**
„გზაჯვარედინზე“

მერაბი — **ი. ტრიპოლსკი**
„ყამთაბერის ასული“



სტალინი — **ი. ტრიპოლსკი**
კ/ფ „თავისუფლების ჯარისკაცები“

მაურისიო — **ი. ტრიპოლსკი**
„ხეები ზეზეურად კვდებიან“

ვიქტორ ავალიშვილი — **ი. ტრიპოლსკი**
„როცა ქალაქს სძინავს“

რი განასახიერა. იგი მკაცრად ამხელს ადამიანის მანკიერ მხარეებს, დიდი ტაქტითა და მორიდებით უარყოფს მათ, ღრმად სწვდება გმირის ტკივილებს, მის სულსა და გულს.

თავაუღებელმა შრომამ, ენერგიამ, რომელმაც მოიყვანა თეატრში გონებამომწიფებული ახალგაზრდა, ძიებამ საჩინო გახადა მისი აქტიორული ნიჭი, თვისებები, მისი ფართო დიაპაზონი. იგი ჩამოყალიბდა როგორც გარდასახვის საინტერესო ოსტატი, დაეუფლა გმირის შინაგანი სამყაროს გააზრებულ წვდომას. მისი გმირების გალერეას ავსებენ ჰეროიკული, ლირიკულ-რომანტიკული, სატირული, კომიკური სახეები, რომელთაგან განსაკუთრებით დასამახსოვრებელია. დენის დავიდოვი (ა. სამსონიას „ბაგრატიონი“), ვოეევატოვი (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“), ტიბალტი (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“), მალვოლიო (უ. შექსპირის „მეთორმეტე ღამე“), ბესიკი (ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), მანუჩარი (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“), მაურისიო (ა. კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან“), ოქროპაპა (ლ. გოთუას „გმირთა ვარამი“), ვიქტორი (ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“), პროფესორი (ა. კოტეტიშვილის „სამოთხის ვაშლები“).

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს იაკობ ტრიპოლსკის ზურია ხარატელის (მ. მრევლიშვილის „ზვავი“) ძალზე საინტერესო სახე — რკინასავით გაუტეხელი, პატრიარქალური, ზნეობრივად შეუვალი ჭარმაგი კაცი. ამ სახის შექმნამ გარკვეული ეტაპი გამოკვეთა მსახიობის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში.

იაკობ ტრიპოლსკი ნაყოფიერად მოღვაწეობს კინოში. კინომაყურებელს კარგად ახსოვს ფილმები მისი მონაწილეობით: „ქალის ტვირთი“, „შეხვედრა წარსულთან“. მას ხშირად იწვევენ გადასაღებად მოსფილმში, კიევის დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში. ბოლოდროინდელ სამ სურათში „მიზნის არჩევა“, „თავისუფლების ჯარისკაცები“ და „ფიქრები კოვპაკზე“ სტალინის როლი განასახიერა.

თეატრსა და კინოში მოღვაწეობის პარალელურად მსახიობი მთარგმნელობითს მუშაობასაც ეწევა. მის მიერ თარგმნილი პიესები იდგმება სხვადასხვა თეატრში, ხოლო ბ. შოუს „პიგმალიონი“ და „კეისარი და კლეოპატრა“ მრავალი წლის მანძილზე აწარმოებდნენ მარჯანიშვილის თეატრის სცენას.

იაკობ ტრიპოლსკის მრავალწლიანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა საბჭოთა სამართლის დაცვის საქმეში — ამუამად იგი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მსაჯულთა საბჭოს წევრია — საშუალებას აძლევს მსახიობს იზრუნოს ხალხისათვის, ემსახუროს ხალხის ინტერესების სამართლიან დაცვას.

ლია ღლონტი



გელა — ი. ტრიპოლსკი
„ძოძღვარი“

კაც ზვამბაია — ი. ტრიპოლსკი
„მთვარის მოტაცება“

ბავშვობიდან მსახიობობაზე არ უოცნებია. სკოლის დამთავრებისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა ინგლისური ენის სპეციალობით. მსახიობობის სურვილი პირველად მაშინ გაუჩნდა, როდესაც ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა ვასო ყუშიტაშვილმა დასავლეთ ევროპულ ენათა ფაკულტეტზე სტუდენტთა მონაწილეობით ინგლისურ ენაზე დადგა ჯ. გოლზუორთის „პატარა კაცი" და მთავარი როლი მას დააკისრა. რეჟისორს ისე მოეწონა სტუდენტის მეტყველება, ხმა, ტემპერამენტი, უშუალობა, რომ მარჯანიშვილის თეატრში შესთავაზა თანამშრომლად მისვლა.

დაამთავრა უნივერსიტეტი, პედაგოგობა დაიწყო. მაგრამ მსახიობობაზე ფიქრი აეკვიატა. მოკრძალებულმა ახალგაზრდამ მარჯანიშვილის თეატრს ვერ შეჰბედა და მოზარდ მაყურებელთა თეატრს მიაშურა. აქ მისი გვარი რომ გაიგონეს, ეჭვით შეხედეს, ამას ქართულიც არ ეცოდინება ხეირიანადო და უარით გამოისტუმრეს. ხელი არ ჩაუქნევია გადაწყვეტილებაზე, ახლა თეატრალურ ინსტიტუტს მიაკითხა, მისაღებ გამოცდებზე გავალ, ბედს ვცდიო. ინსტიტუტიდანაც გამოისტუმრეს... საგამოცდო ეტიუდს რომ იგონებს უკვე სახელოვანი მსახიობი, ამბობს, ისეთი რთული ამოცანა მომცეს, იმას დღესაც ვერ შევასრულებო. ფარ-ხმალი არც ამჯერად დაუყრია. პირიქით, გაჯიუტდა და გადაწყვიტა ვ. ყუშიტაშვილთან მისულიყო მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ვ. ყუშიტაშვილი გულთბილად შეხვდა მას და აღუთქვა, თანამშრომლად მიგიღებო. რამდენიმე დღის შემდეგ ლ. გოთუას „მეფე ერეკლე" მიდიოდა. ამ სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ავად გახდა. აუცილებელი იყო მისი შეცვლა. დასში თავისუფალი მსახიობი თითქმის არ ჰყავდათ, რადგან უმეტესობა აღნიშნულ სპექტაკლში მონაწილეობდა და მოხდა ისე, რომ ი. ტრიპოლსკის უნდა შეეცვალა ავადმყოფი მსახიობი. მანაც როლი ისე შეასრულა, რომ მეორე დღესვე ჩარიცხეს თანამშრომლად. მალე ვერიკო ანჯაფარიძემ „ინჟინერი სერგეევი" გაანაწილა და ერთ-ერთ წამყვან როლზე (ლეიტენანტი კრეგერი) იაკობ ტრიპოლსკი დანიშნა. პრემიერის მეორე დღეს ი. ტრიპოლსკი მარჯანიშვილის თეატრის დასის სრულუფლებიანი მსახიობი გახდა.

ასე დაიწყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტის იაკობ ტრიპოლსკის შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომელიც გრძელდება დღემდე და აღსავსეა უამრავი საინტერესო, შთამბეჭდავი სასცენო სახით, ორასამდე გაცოცხლებული გმირით, რომლებიც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებიან შინაგანი ბუნებით, კოლორიტით, ინტონაციით. მსახიობმა ბევრი უარყოფითი გმი-